



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გუგუნავა სიმონ დავითის ძე

გუგუნავა სიმონ დავითის ძე (30. VI. 1839, სოფ. ძიძითი, ოზურგეთის მაზრა, – 18. VII. 1909, ქუთაისი), პოეტი. სწავლობდა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში (არ დაუსრულებია). 1889–98 იყო ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, 1898-იდან – ლენხუმის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი. 1888 გამოვიდა გ-ს პოემა „თამარიანი“, რ-იც გ. ი. რჩეულიძვილის ისტ. რომანის „თამარ ბატონიშვილის“ პოეტური გადამუშავებაა. პოემა დანერვილია ვეფხისტყაოსნის გავლენით, შეინიშნება ხალხ. სიტყვიერებასთან სიახლოვეც. „თამარიანმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა (1888–1970 ათგზის გამოიცა). პოემის ზოგიერთი ადგილი სიმღერად იქცა (მაგ., „შალვა, ჩემო სიყვარულო...“). გ. ავტორია აგრეთვე რამდენიმე ლექსისა, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „დედაენა“ („კვალი“, 1893, №14).

*თხზ.*: თამარიანი. ლექსად თქმული, თბ., 1973.

*ლიტ.*: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., გუგუნავები, ბათ., 1987.

**ნ. ალანია**

---